გაცემის თარიღი

21.08.2024

განხილვის საგანი :	სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემა
დაინტერესებული პირი :	შავლეგო მაღრაძე 01005023881
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN11043906
გასაჩივრების წესი :	ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN11043906

1. დაკმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობითი თხოვნა და მიეცეს თანხმობა განათავსოს ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა, ბოგ უოლშის ქუჩის (ს/კ: 01.72.14.009.523) მიმდებარედ, დროებითი ღობე (ასევე, ქვაბულის მოწყობის მიზნით საჭირო სამუშაოები) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დანართში მონიშნულ სავარაუდო მონაკვეთზე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან და ქალაქ თბილისის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შესაბამისად, ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფით, საგზაო მოძრაობის შეუფერხებლად, ტერიტორიაზე განთავსებული ხაზობრივი ნაგებობების და მწვანე ნარგავების დაუზიანებლად, სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებით / მშენებლობის ნებართვის გაცემის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის პირობის გათვალისწინებით.
2. აქტი ძალაშია მისი გაცნობიდან 12 (თორმეტი) თვის ვადით.

(ელექტრონული ფორმით გაცემული აქტის გაცნობისთვის დაინტერესებულ მხარეს განესაზღვრება ვადა - სააგენტოს მიერ აქტის გამოცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ოდენობით. თუ აღნიშნულ ვადაში დაინტერესებული პირი აქტს არ გაეცნობა აქტი ითვლება ძალადაკარგულად.)

საფუძველი:

“ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-75 დადგენილება; “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ”



გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

19/05/2025

MIA 1 25 01491833

მოქ. შ. მაღრაძეს
თქვენს 2025 წლის 16 მაისის განცხადებაზე

ასლი: საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისი, ბოზ უოლშის ქ. N8; N10 ს/კ 01.72.14.009.523; 01.72.14.009.443-ის მიმდებარედ სამშენებლო დამცავი ღობის განთავსების და არსებული საგზაო/სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ნაკადების მიმართულების საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემების შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ რა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოს თანხმობას, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით) წარმოდგენილ დროებითი და მუდმივი მოძრაობის ორგანიზაციის სქემებს და არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ სამუშაოები შემდეგი პირობების დაცვით:

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები შეთანხმებულია იმ პირობით, რომ სამშენებლო ტექნიკა იმოძრავებს მოქმედი სამართლებრივი დადგენილი წესით

- ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოების მიზნით დამცავი ღობის ფარგლებში მოეწყოს ქუჩის სავალი ნაწილის მხრიდან ქვეითად მოსიარულეთა ბილიკი, ღობე გზის სავალი ნაწილის მხრიდან გადაიხუროს და ღამის საათებში განათდეს;
- სამშენებლო ობიექტზე მისასვლელი გზა (სამუშაოების განხორციელების პროცესში) აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული სქემების შესაბამისად, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მოძრაოის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დროებით დემონტაჟი ან შეიფუთოს;
- საგზაო მოძრაობის რეგულირებისთვის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით სამუშაოების მწარმოებლის მიერ გამოყოფილ იქნეს სპეც. ტანსაცმლით და ალმით აღჭურვილი საჭირო რაოდენობის თანამშრომელი;
- დაცული იქნას გზის სავალი ნაწილის სისაუფთავე, არ დაუშვათ სამშენებლო მასალისა და ტექნიკის გზის სავალ ნაწილზე განთავსება;

0190, თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38, Noe Ramishvili St. 0190, Tbilisi, Georgia
ტელ./Tel.: (+995 032) 2 41 42 42
ფაქსი/Fax: (+995 032) 2 41 85 02
E-mail: patrolinfo@mia.gov.ge

- სამუშაოების დასრულებისთანავე ფეხით მოსიარულეთა ბილიკი მოყვანილ იქნას პირვანდელ მდგომარეობაში, დროებითი მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დემონტაჟი და გზის მიერთების ადგილები აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემების შესაბამისად;
- სამუშაოების დაწყების შესახებ წინასწარ ეცნობოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო ნაწილს (241–85–04; 241–85–05).

მეორე ადრესატს: გთხოვთ, უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება წერილში მითითებულ პირობების შესრულებაზე და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების განთავსების მდგომარეობაზე. შეუსრულებლობის შემთხვევაში გაატარეთ ზომები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი /
საორგანიზაციო სამმართველო / საგზაო მოძრაობის
ზედამხედველობის განყოფილება
განყოფილების უფროსი
ბარბაქაძე დავით

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01251334112**
გაცემის თარიღი: **13/05/2025**

ადრესატი: შავლეგო მაღრაძე
პირადი ნომერი: 01005023881
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, N 101, ბინა 53

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა 2025 წლის 16 აპრილის № 01251063141 -16 განცხადება, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

დაკმაყოფილდეს 2025 წლის 16 აპრილის № 01251063141 -16 განცხადება და შეთანხმდეს ქალაქ თბილისში, ბობ უოლშის ქუჩა, N8; N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.72.14.009.523; 01.72.14.009.443) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა თანდართულ ბმულზე არსებული დანართის შესაბამისად.

ვინაიდან სამუშაოებისთვის განკუთვნილი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა (დროებითი ღობის მოწყობა) მოიცავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიას, ასევე საზოგადოებრივ სივრცეს, აღნიშნული სქემა ჩაითვლება შეთანხმებულად, განსახორციელებელი სამუშაოთა წარმოების შესახებ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში (ოფიციალური საიტი: MS.GOV.GE - MS LETTERS - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო“, შესაბამის ნომენკლატურაში - „სამუშაოების წარმოების და საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შეთანხმება“ და „ზაზობრივი ნაგებობები/ სამუშაოების წარმოება და საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა“) შესაბამის ნომენკლატურაში განცხადების წარმოდგენისა და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.
საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები შეთანხმებულია იმ პირობით, რომ სამშენებლო ტექნიკა იმოძრავებს მოქმედი სამართლებრივი დადგენილი წესით.

ასევე გაცნობებთ, რომ საჭიროების შემთხვევაში, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო იტოვებს უფლებამოსილებას, მოითხოვოს სამუშაოების პერიოდში არსებული სიტუაციის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ალტერნატიული ვარიანტის წარმოდგენა.

სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის მიხედვით გათვალისწინებული საგზაო ნიშნები უნდა განთავსდეს მოძრავ დგარზე, რათა არ დაზიანდეს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოებისათვის საჭირო დროებითი და არსებული საგზაო ნიშნები ეწინააღმდეგება/ხელს უშლის ერთმანეთს, საჭიროა უკვე არსებული საგზაო ნიშნები შეიფუთოს, ხოლო სამუშაოს დასრულებისთანავე დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს დროებით დამონტაჟებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს და ქუჩის სავალი ნაწილი (ყველა შეფუთული ნიშნის ჩათვლით) მოყვანილი იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

დამატებით გაცნობებთ, რომ თუ მშენებლობის პერიოდში, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, ხორციელდება სხვა სამშენებლო სამუშაოები და დროებითი საგზაო ნიშნები, რომლებიც განთავსებულია სხვა, ნებართვის მქონე, შემსრულებელი კომპანიის მიერ და კვეთს/ეწინააღმდეგება თქვენს მიერ დასამონტაჟებელ საგზაო ნიშნებს, დროებითი საგზაო ნიშნები დაიტანოთ საჭიროებისამებრ და აუცილებლობის შემთხვევაში, სამუშაოები განახორციელოთ უკვე განთავსებული დროებითი საგზაო ნიშნების გამოყენებით. ხოლო, სხვა შემსრულებლის მიერ, სამუშაოების დასრულებისა და ნიშნების დემონტაჟის შემთხვევაში, უზრუნველყოთ თქვენი საგზაო ნიშნების სრულად მონტაჟი, მოცემული პირობების შესაბამისად.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ცვლილება საჭიროებს შეთანხმებას სააგენტოსთან.

გადაწყვეტილების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 14 თებერვლის წერილით N16-01240451654 შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა.

დანართი: სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები იხილეთ თანდართულ ბმულზე :

https://cloud.msda.ge/index.php/s/hOd2RrPHP8h9Gug

პატივისცემით,

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

არსებული სერვიტუტი

01.72.14.009.639

ნაკვეთებისთვის
შეთანხმებულია
მოძრაობის
ორგანიზების სქემა

სერვიტუტით
დასატვირთი არეალი

01.72.14.009.665

01.72.14.009.176

01.72.14.009.659

01.72.14.009.636

01.72.14.009.181

01.72.14.009.663

01.72.14.009.650

01.72.14.009.611

სერვიტუტით
დასატვირთი არეალი

01.72.14.009.660

01.72.14.009.523

01.72.14.009.443

არსებული სერვიტუტი

საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებები და პირობითი აღნიშვნები


- სამშენებლო ობიექტი
- ტროტუარი
- საპროექტო ნაკვეთი
- სამანქანო სავალი ნაწილი
- შშმ პირთა პანდუსი
- საქვეითე გადასასვლელი

2.1	2.3	4.1.4	4.1.5
13ც	16ც	7ც	5ც

5.19.1	5.19.2		
40ც	40ც	1ც	12ც

ქ. თბილისში, დიღმის სასწ. საცდ. მეურნეობაში
არსებული მიწის ნაკვეთებისთვის
(ს/კ 01.72.14.009.523; 01.72.14.009.443)
საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა


საგზაო მოძრაობის ორგანიზების
მუდმივი სქემა
(დასრულებული ვარიანტი)




ქ.თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (01.72.14.009.523 და 01.72.14.009.443) სამშენებლო ღობის მოწყობის პერიოდში არსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა.

განმარტება


- საპროექტო ტერიტორიაზე (01.72.14.009.443; 01.72.14.009.523) მიმდინარეობს მშენებლობა და მოწყობილია სამშენებლო ღობე. ამ ეტაპზე სრულდება ზედა (ჩრდილოეთით არსებული) შენობის მშენებლობა. შესაბამისად, წარმოდგენილ დროებით სქემაზე ჩამოწეულია სამშენებლო ღობე და შემოღობილია მხოლოდ დარჩენილი მშენებარე შენობები (ბლოკები). ღობის კონტურის ცვლილება მოხდება ხსენებული ჩრდილოეთ ბლოკის სრულად დასრულებისა და ტერიტორიის მოწესრიგების შემდგომ.
- სამშენებლო ღობე მოწყობილია არსებული ტროტუარების მიღმა და ქოლგა გადმოფარებულია ტროტუარზე რათა ფეხითომსიარულეები უსაფრთხოდ გადაადგილდნენ.
- იქიდან გამომდინარე, რომ სამშენებლო ღობე მოწყობილია ისე რომ არ ზღუდავს, არ აფერხებს, არ ავიწროვებს საქვეითო ან სამანქანო სავალ ნაწილს, შესაბამისად, დამატებით, საგზაო მოძრაობის დროებითი ნიშნების ან ტექნიკური საშუალებების მოწყობა არ არის საჭირო გარდა წარმოდგენილი სქემისა.
- სამშენებლო სამუშაოები დაწყებულია და იწარმოებს 2026 წლის დეკემბრამდე
- სამშენებლო ტექნიკის გადაადგილება განხორციელდება კანონით/ რეგულაციებით დადგენილ დროებში





საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებები

- სამშენებლო არეალი
- არსებული ასფალტის გზა
- არსებული ტროტუარების კონტურები ტოპო გადაღების მიხედვით



შუქ. ტ7 2 ცალი



მედროშე 1 ადამიანი

ქვეითთა მოძრაობა

სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის მიმართულება

სამშენებლო ღობე ქოლგით

სამშენებლო ღობე

ტრანსპორტის გადაადგილების მიმართულება

ქ.თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (01.72.14.009.523 და 01.72.14.009.443) მშენებლობის პერიოდში არსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა.